საქართველოს მთავრობის

განკარგულება №1057

2017 წლის 1 ივნისი

ქ. თბილისი

შპს „თერმულ წყლებზე“ გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №1000486 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებასა და დამატებითი სალიცენზიო პირობის განსაზღვრაზე თანხმობის გაცემის თაობაზე

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტისა და „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 6^1 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისა და მე-7 მუხლის 1^3 პუნქტის საფუძველზე:

1. მიეცეს თანხმობა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ – გარემოს ეროვნულ სააგენტოს შპს „თერმულ წყლებზე“ გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №1000486 ლიცენზიის მოქმედების ვადის 2017 წლის 1 ივნისიდან 2022 წლის 1 ივნისამდე გაგრძელების თაობაზე შემდეგ X და Y კოორდინატებში არსებულ ჭაბურღილებზე:

ჭაბ №	X	Y
ჭაბ – 4 თ	479906.071	4618765.497
ჭაბ – 6 თ	480804.662	4622002.108
ჭაბ – 8 თ	478686.867	4620927.191
ჭაბ – 7 თ	477121.948	4621459.316
ჭაბ – 5 თ	475944.747	4621650.763
ჭაბ – 1 საბურთალო	478625.585	4619969.133
ჭაბ – 1 ლისი	474656.209	4621936.554.

2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიაში ცვლილების შეტანიდან არაუმეტეს 2 (ორი) წლის ვადაში შეისწავლოს სასარგებლო წიაღისეულის რესურსი, გამოთვალოს წყლის მარაგები და შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარადგინოს მარაგების ანგარიში.

3. განკარგულება ძალაშია 2017 წლის 31 მაისიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**